

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „მათ იქალაქს გიორგი შაქარაშვილზე“

დაიკითხებიან თუ არა მერებაშვილი და შერმადინი

გვ. 5



სუთშაბათი, 5 მაისი, 2022

№87 (8865)

ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილის ბაღი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოექცევა სააკაშვილს“



„კობახიძეს არ აქვს სათანადო აღზრდა მიღებული და უკვე ძალიან გვიან არის“

ლელა ჯეჯელავა: „საკაშვილი ისტორიის ნაწილია და მისი სიცოცხლის დაცვა ყველას მოვალეობაა“



გვ. 2

## „ქართული ოცნება“ იმდენ ხანს აცოცხლებს სააკაშვილის თემას, რამდენ ხანსაც აწყობს“

ვახტანგ ძაბირაძე:

„დღეს არ გამოვა რუსთაველზე 100 ათასი კაცი, რომ რამე შეიცვალოს“

გვ. 3



სოზარ სუბარია: „საქართველოში სუიციდის პროგრამა ყველაზე კარგად მუშაობს“



გვ. 2



გვ. 4

## მოლდოვაში უარლ მიხელი ჩავიდა

რას გულისხმობს რუსეთის მიერ წამოწყებული სამხედრო აგრესიის მეორე ფაზა და რა კავშირი აქვს მასთან დნესტრისპირეთს?



გვ. 4

ზელენსკი: „ომის შედეგად უკრაინის აღდგენას 600 მლრდ დოლარი დასჭირდება“



ერთ თვეში ვიზიტორები რუსეთიდან — 48,9%-ით, ბელარუსიდან — 42,7%-ით და უკრაინიდან 104,2%-ით გაიზარდა



**5** მამაკაცს, რომელმაც ბორჯომში 37 წლის მუღლან 16 ჭრილობა მიიყენა, პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა

**4** რუსეთი ზეთზე სანქციონირებულ ბადასახადს 153 დოლარით ზრდის

**5** ბასიკ ბუჯიაშვილი: „ჩემს შვილს ნამალი ჩაუღას“

**6** რუსეთმა უკრაინიდან 1,1 მილიონი ალაშიანი გადაასახლა მათ ციმბირში უშვებენ



# „ივანიშვილის ბაღი მთლიანად დაოკიდებულია იმაზე, როგორ მოქმედებდა სააკაშვილი“

## ლელა ჯეჯელავა: „სააკაშვილი ისტორიის ნაწილია და მისი სიცოცხლის დაცვა ყველას მოვალეობა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კონსულტაციის ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, დღეს საკმაოდ აქტუალურია საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თემა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას? უნდა ეყვარებოდეს თუ არა ასე ამჟამინდელი ხელისუფლება ყოფილ პრეზიდენტს? რა მიზანს ემსახურება ხელისუფლების ქმედებები და ასეთი ცინიკური განცხადებები?

– ასეთი მოპყრობა არა თუ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, არამედ არც ერთი პატიმრის მიმართ არ შეიძლება. იმიტომ, რომ აი ეს განცხადებები, რომელსაც აკეთებს „ქართული ოცნება“, სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიური ტერორი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფიზიკურ წამებაზე ნაკლები წამებაა ფსიქოლოგიური ტერორი, ძალიან ცდება.

დღიდან პატიმრობისა, „ქართულ ოცნებას“ საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს ფსიქოლოგიურ ტერორში. გარდა ამისა, ამას ემატება ისიც, რომ მას არ ეძლევა სათანადო მკურნალობის შესაძლებლობა. მას არ ეძლევა ისეთი ელემენტარული უფლებებიც კი, როგორც ყველა პატიმარს აქვს, მაგალითად, სატელეფონო ზარების განხორციელების უფლება. ეს სრულიად წარმოუდგენელია და სწორედ შემადგენელი ნაწილია ფსიქოლოგიური ტერორის. ასევე, ჩვენ ვნახეთ, შიმშილობის დროს, რეალურად მიიყვანეს მესამე პრეზიდენტი სიკვდილ-სიკვდილის ზღვარზე. სანამ მას არ განუვითარდა სინკოპე, მანამდე მისი გადაყვანა არ მოხდა სამკურნალო დაწესებულებაში.

– უფრო ადრე უნდა გადაეყვანათ კლინიკაში?

– რასაკვირველია. მანამდე მიდიოდა სრულიად არაეთიკური, მორალისგან დაშრეტილი პროპაგანდა იმის თაობაზე, რომ მესამე პრეზიდენტი მიირთმევს თაფლს, არ შიმშილობს, რომ ეს არის სიმულაცია და აი ამ ფონზე მოხდა ის, რომ ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეირყა უკიდურესად და ფაქტობრივად შეუქცევადი ხასიათი მიიღო, როგორც ამ დარგის სპეციალისტები და ცნობილი მედიკოსები ამბობენ და მე არ მაქვს უფლება არ დავუჯერო მედიკოსების განცხადებას. საპირისპირო განცხადება სხვა ექიმებისგან მე არ მომისმენია. მთელი ამ პოსტშიმშილობის პერიოდში, მიხეილ სააკაშვილს არ ჰქონდა შესაბამისი მკურნალობა, მკურნალობა არ წარმოებოდა სწორი მეთოდით, რამაც გამოიწვია ის



### „კობახიძეს არ აქვს სათანადო აღზრდა მიღებული და უკვე ძალიან გვიან არის“

შედეგები, რომელიც დღეს გვაქვს და ჩამოყალიბდა საკმაოდ მძიმე დაავადება. ახლა თუ ვინმეს ჰგონია, რომ რადგან პრეზიდენტი სუნთქავს და რადგან ჯერ კიდევ შეუძლია ადეკვატური რეაგირება და კითხვებზე პასუხის გაცემა, ეს ნიშნავს იმას, რომ ის ძალიან მძიმედ არ არის დაავადებული, მას საერთოდ არ აქვს წარმოდგენა ადამიანის ფიზიოლოგიის შესახებ.

– რით ხსნი ირაკლი კობახიძის ცინიკურ განცხადებებს, რომ ზაქო და კვერციანი ჯანდასრულებული არ არიან, ჩვენ სააკაშვილის არსად გადაყვანას არ ვაპირებთ. რას ნიშნავს ეს განცხადებები?

– კობახიძის ეს განცხადება ნიშნავს ძალიან ბევრ რამეს! პირველი, რომ მას არა აქვს სათანადო აღზრდა მიღებული და უკვე ძალიან გვიან არის. ეს კი არის მისი ოჯახის პრობლემა. მეორე, მისი ფსიქიკური მდგომარეობა არის ძალიან არამყარია, თორემ სხვა შემთხვევაში, პოლიტიკოსი თავს უფლებას არ მისცემდა რომ ასეთი განცხადება გაეკეთებინა. ხოლო რაც შეეხება მორალსა და ზნეობაზე საუბარს, ეს ყველაფერი აქ სრულიად უაღვთოა და შეუძლებელია ამ კატეგორიის ვერ გამოვიყენებთ.

– საკუთარ ამომრჩეველებზე ხომ არ არის მსგავსი განცხადებები გათვლილი? დღეს ძალიან პოპულარულია საზოგადოება. ნაწილი აღმერთებს მიზანს, ნაწილს კი სძულს. ვისაც სძულს, მათთვის კეთდება ეს განცხადებები?

– იცით რა, ეს სიძულვილი და სიყვარული, საერთოდ ირაციონალური გრძნობები, არაფერი შუაში არ არის, როდესაც ჩვენ გვაქვს

კონკრეტული მოცემულობა. აქ საუბარია ადამიანის სიცოცხლეზე! არა აქვს მნიშვნელობა, ის პრეზიდენტი თუ რიგითი ადამიანი. ამ დროს, როდესაც შენ ხელმძღვანელობ იმით, გძულს თუ გიყვარს ადამიანი, როდესაც მის გადარჩენაზე საუბარი, უბრალოდ, თვითონ გაქვს პრობლემა ადამიანობის! ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ, ვის უყვარს და ვის სძულს სააკაშვილი, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ადამიანის სიცოცხლეს ესემა საქმე!

სიცოცხლის უფლება აქვს ყველას! ამიტომ, ყველა ის, ვინც დღეს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ქილიკობს, ყველა, ვინც ცდილობს, რომ ის ამყოფოს ფსიქოლოგიურ ტერორში, აქვს ერთი სახელი – ის არის მკვლეელი! არა აქვს მნიშვნელობა, ცუდ ადამიანს კლავ, თუ კარგ ადამიანს კლავ. მკვლეელი მკვლეელია მორალზე აღარ ვლაპარაკობ, სამოქალაქო სამართალიც კი, ცუდი და კარგი ადამიანის მკვლელს, ერთნაირი სასჯელით განსჯის. არ არის ასე ადვილი, ადამიანის მკვლელობას ხელი მოაწერო. ყველა, „ქართული ოცნებიდან“ დაწყებული და მისი მხარდამჭერებით დამთავრებული, აბსოლუტურად ყველა ანწრე ადამიანის მკვლელობაზე ხელს! რა ჰქვია ამ ადამიანს, პრეზიდენტი, სასტიკი დამანაშავე თუ ტერორისტი, ამას არ აქვს მნიშვნელობა.

– ქალბატონო ლელა, თავად პარტია ნაციონალურ მოძრაობაშიც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ამ საკითხთან დაკავშირებით. გვესმის შეფასებები, რომ კაცი კვდება და აქციის მომწყობიც არავინ ყავს, მაშინ როცა, აქციის აქციაზე უნდა მართავდნენ. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? ან ამ სიტუაციაში აქციები თუ იქნება რამის მომტანი?

– საქმე ისაა, რომ როდესაც ხელისუფლება გელაპარაკება მხოლოდ ძალის ენით და ეს არ არის არც პოლიტიკის ენა, ეს არ არის არც ეთიკის ენა, არც სამართლებრივი ენა, ის მხოლოდ გვესაუბრება ძალის ენით. შესაბამისად სხვა გამოსავალი, რომ მას დაუპირისპირდე, გარდა იმისა, რომ აჩვენო საკუთარი ძალა, მართალი გითხრა, ვერ ვხედავ. თუმცა, როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობის ძალა ყოფილა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი. რადგან პერსონალურად, სააკაშვილის ძალა ახლა არის შეზღუდული, როგორც ფიზიკური, ისე მენტალური, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ამიტომ ნაციონალურ მოძრაობას არ შესწევს უნარი, რომ მან სათანადოდ უპასუროს „ქართული ოცნების“ დამოკიდებულებას.

ერთი რამე უნდა ვთქვა, რისი გააზრებაც ჩვენს საზოგადოებას უჭირს. მიხეილ სააკაშვილი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ის არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას. ის ამ ქვეყნის პრეზიდენტი და ამ ქვეყნის ისტორიის ნაწილია.

ლია. ამიტომ ამ ქვეყნის მოსახლეობის მოვალეობაა ეს. ეს არ არის მარტო ნაციონალური მოძრაობის პირადი საკითხი და პირადი პრობლემა. მიხეილ სააკაშვილი არის საქართველოს ისტორიის ნაწილი! ის, რომ არ დაეუფვით მესამე პრეზიდენტის სიკვდილი, ეს არის ჩვენი, ყველას მოვალეობა!

– მრავალრიცხოვანი პარტია ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შიდა დაპირისპირება და განხეთქილება არ აძლევს საშუალებას, რომ ჩამოყალიბდნენ და ძალა აჩვენონ ხელისუფლებას?

– მე ვერ გეტყვი. არასოდეს ამ პარტიასთან არანაირი შეხება არ მქონია. არც მათი შიდა სტრუქტურა ვიცი და არც მათი პარტიის კულტურული ამბები. მათ შიდა დაპირისპირებებზე თუ ასე შემიძლება, მსჯელობა არაფრის მომცემია. სააკაშვილის საკითხი, ეს არის სრულიად საქართველოს მოსახლეობის პრობლემა.

– მაშინ ამას გკითხავთ, უნდა ეწყობოდეს თუ არა ამ ფონზე აქციები?

– რასაკვირველია. უნდა ეწყობოდეს! სხვა ენა ხელისუფლებას, უბრალოდ, არ ესმის. მას ესმის მხოლოდ ძალის ენა. ის ადამიანებს თვისებების მიხედვით კი არ აფასებს, როდენობის მიხედვით აფასებს მხოლოდ. დაუყოვნებლივ არის ზომები მისაღები იმისთვის, რომ შეეუწარმონ საქართველოს მესამე პრეზიდენტს სიცოცხლე. ჯერ მხოლოდ სიცოცხლეზე საუბარი.

– ეშინია „ოცნებას“ სააკაშვილის? თუ რა განიზრახეს?

– „ოცნების“ რეალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილი, არის მძევალი პუტინის. ხოლო ივანიშვილს მძევლად ჰყავს აყვანილი სააკაშვილი. მიხეილ სააკაშვილი დღეს მძველის მძევალია. სააკაშვილი პუტინისთვის არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს, ამისთვის ჰყავთ დატყვევებული. სააკაშვილი, პუტინის გარდა, სხვა არავისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს, მაგრამ მათ ამის გააზრება უჭირთ. მიხეილ სააკაშვილის ფიზიკური მდგომარეობა, მხოლოდ ფიზიკური, დღეს დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე! ღმერთმა დაიფაროს და თუ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა დასრულდა საპრობილეში სიკვდილით და ის დროზე არ გაუშვებს, მაშინ სააკაშვილისგან გამირი შეიქმნება.

დღეს ივანიშვილის ბედი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ მოქცევა ის სააკაშვილს. თუ ის სააკაშვილს მოკლავს ციხეში, მე არავის არ ვუსურვებ იმ ბედს, რაც ბიძინა ივანიშვილს ექნება. თუ არ მოკლავს და მისცემს საშუალებას შეუნარჩუნდეს ჯანმრთელობა, ბიძინა ივანიშვილს უწნდება შანსები, დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება – ფინანსურიც და ფიზიკურიც!

# სოზარ სუბარი: „საქართველოში სუიციდის სიხშირის პრობლემა ყველაზე კარგად ეუზაოვს“



– საქართველოში სუიციდის პროგრამა მუშაობს ყველაზე კარგად, იმედი მაქვს, ეს არ დასჭირდება სააკაშვილს, მაგრამ თუ დასჭირდება, ჩართული იქნება ამ პროგრამაში.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოზარ სუბარმა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, სახალხო დამცველის კონსილიუმის წევრი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ადაპტაციის აშლილობაზე საუბრობდა, რასაც სუიციდური ქცევაც ახასიათებს.

სუბარი აცხადებს, რომ ციხეებში მისი

მინისტრობის დროს სუიციდის პრევენციის პროგრამა „წარმატებით დაინერგა“.

– ადაპტაციური აშლილობა არ ვიცი, რას ნიშნავს, თვითონ განმარტავს ასე – დეპრესიული განწყობა, სუიციდური ქცევა, მადის დაქვეითება, გენერალიზებული შფოთვა და ა.შ. ციხეს ნებისმიერი ვერ ეგუება და სააკაშვილი თურმე მათ შორისაა, ვინც ვერ ეგუება, როცა სააკაშვილი ვერ ეგუება ამას, ეს უნდა გაითვალისწინოს დიდი ხნით ადრე, ვიდრე ციხეში მოხვდებოდა და არ ჩაიდინოს დანაშაული, ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

მე იმედი მაქვს, არანაირი სუიციდული ქცევა არ ექნება ადგილი სააკაშვილის მხრიდან, თუმცა, ერთი რამ შემოიღია გითხრა, ჯერ კიდევ 2013 წელს, როცა მე ვიყავი სასჯელალსრულების მინისტრი, ჩვენ დავიწყეთ მართვა სუიციდის პროგრამის ციხეებში და საქართველოში დღეს, მსოფლიოში ყოველ 10.000 პატიმარზე ალბუმი, ყველაზე ნაკლები სუიციდია.

არ არსებობს ქვეყანა, სადაც სუიციდით 5-6 კაცი არ იყოს 10.000 პატიმარზე ალბუმი, საქართველოში ეს არასდროს ალბუმი 1, მაქსიმუმ 2 ადამიანს და ბევრჯერ არც ერთი არაა წლის განმავლობაში, – განაცხადა სუბარმა.

ამასთან, მისი თქმით, როცა ლაპარაკია

საკაშვილის წამებაზე, ეს უკვე გადავიდა ანექლოტიკის და ხუმრობის სფეროში.

სოზარ სუბარის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ციხეში მონახულება იგეგმება.

კითხვაზე, მონახულებენ თუ არა მას მიხეილ სარჯველაძე, დავით სერგეევს და დიმიტრი ხუნდაძე, სუბარი აცხადებს, რომ ეს უზრუნველსაზრუნველს დასახელებული გვარებია, ხოლო თუ ვინ მონახულებს, ეს მალე გახდება ცნობილი.

– გვახსოვს, როგორ აწამებდნენ მას თითქოს რაღაც დასხვიებით, მანქანა იდგა საავადმყოფოში, ასხივებდა თურმე და ერთდღიანი ხუმრობის თემა იქცა, მერე იყო განცხადებები ფარმაცოლოგიურ წამებაზე და ესეც მალე ყველას დაავიწყდა, მიუღებელი და არაადეკვატური ტერმინია, რომელსაც თვითონ სააკაშვილი იყენებს, რომ მისი ინვალიდობაცია ხდება და თქვენი კოლეგები ამბობენ, მალე ბუჩქად თუ მცენარედ იქცევა სააკაშვილი, ეს ყველაფერი ანექლოტიკის თემაში გადავიდა.

ადამიანის მიმართ რომ იყოს მართლა ჯანმრთელობის საფრთხე და წამების რაიმე ნიშანი რომ გამოვლენილიყო, მით უმეტეს, როცა საუბარია ყოველ პრეზიდენტზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ შეწყვეტდა საქმის განხილვას, პირიქით, მიანიჭებდა პრიორიტეტს და დიდი ხნის წინ იქნებო-

და მიღებული საქართველოს წინააღმდეგ ძალიან მკაცრი გადაწყვეტილება.

ის, რომ შეწყვიტა საქმის შესწავლა, ნიშნავს, რომ არანაირი საფრთხე მის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს არ ემუქრება და არანაირი წამებასთან მიმსგავსებული ქმედება არ ხორციელდება. თუ ადამიანი თვითდაზიანებას მიმართავს, როგორც ამას ამბობს სამედიცინო კონსილიუმის წევრი ნულაძე, ამას სასჯელალსრულების სამედიცინო დაწესებულება მიაქცევს შესაბამის ყურადღებას. მისი მონახულება იგეგმება, გაიგებთ მალე, ვინ მონახულებს, – განაცხადა სუბარმა.

ცნობისთვის, ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე იმ ექიმების მოწვევა და მოსმენა მოითხოვა, რომელთაც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნა დადეს.

ფრაქციამ ასევე კომიტეტს პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებს მოსმენის წინადადებით მიმართა. მათ ასევე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს დიმიტრი ხუნდაძესა და პარლამენტის ვიცე-სპიკერ დავით სერგეევს, როგორც ექიმებს, მიმართეს, სააკაშვილი პირადად მიიწვიონ და მის მდგომარეობას ადგილზე გაეცნონ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამომცემი: საერთაშორისო სამხარული – ვლადი ბლაგოვი

1993 წლი

23 ივლისი 2022

მთავარი რედაქტორი – სოზარ სუბარი

რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი

გვებეჭერი: akhilitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

საფრანგო სამხარული – ვლადი ბლაგოვი

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება – 599-532-690

გაფრთხილება – მერაბ ლეფერაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რევიზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალები სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ იმდენ ხანს ასოცხლავს სააკაშვილის თემას, რამდენ ხანსაც აწყობს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „დღეს არ გამოვა რუსთაველზე 100 ათასი კაცი, რომ რამე შეიცვალოს“

ნათია სურცილაძე

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მომდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახმა და პარტიის წევრების ნაწილმა გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან აქცია გამართეს. ისინი პერმანენტულ აქციებზე საუბრობენ. შეიძლება პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა თავის პოზიციას გადახედოს?

– ამ საკითხზე, რაც უფრო მეტი აქტიურობა იქნება, რაც უფრო მეტი ხმაური იქნება მათი მხრიდან, მით უფრო ნაკლებია შანსი, რომ ხელისუფლებამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სალომე ზურაბიშვილმა, რაიმე ნაბიჯი გადადგას. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებ ხელისუფლებას, რომ ვინმეს მაინც დარჩეს განცდა, რომ ისინი აიძულეს, სააკაშვილი გაეთავისუფლებინათ. ეს არ მოხდება.

ან მართლა უნდა აიძულონ, უნდა შექმნან გამოუვალი რეალობა, როდესაც ქუჩაში მართლა გამოვა არა ოთხი კაცი, როგორც ეს გუშინ ვნახეთ ორბელიანების სასახლესთან, არამედ 100-200 ათასი ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და აიძულოს ხელისუფლება, რომ სააკაშვილი ციხიდან პირობით ვადაზე ადრე გამოუშვან.

– ასეთი რამე მოსალოდნელია?

– ეს გამორიცხვლია. ასეთი რესურსი არ არსებობს. დღეს, რა უნდა მოხდეს ქვეყანაში ისეთი, რომ ამდენი ადამიანი ქუჩაში გამოვიდეს?! იმდენად ინდიფერენტულია ხალხი არა-თუ სააკაშვილის, საერთოდ ყველანაირი პოლიტიკის მიმართ, რომ რა გითხრა, რამ უნდა გამოიყვანოს ეს ხალხი ქუჩაში?! ღმერთმა დაიფაროს, ფატალურად რომ დამთავრდეს ეს ამბავი, ამ შემთხვევაშიც არ გამოვა ამ რაოდენობის ხალხი ქუჩაში.

– ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ადარდებს ხელისუფლებას, რომ ის არაფრის ფასად არ დაუშვებს ფატალურ შედეგს?

– ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, რატომ აიტყვივს აუტკივარ თავს?! ის აკონტროლებს მდგომარეობას. ამ მდგომარეობაში უფრო აწყობს. თუ დამძიმდება, მაშინ აუტივლად გადაიყვანს საავადმყოფოში, მაგრამ არა ვენის საავადმყოფოში, არამედ გორში.

– რამდენად იქნებოდა გამოსავალი საერთაშორისო კონსილიუმის შექმნა, რომელიც ობიექტურ და მიუკერძოებელ დასკვნას დადებდა თუნდაც ბევრი სკეპტიკოსისთვის?

– არ შექმნის ასეთ კონსილიუმს ხელი-სუფლებას. შიმშილობის დროსაც იგივე საკითხი იდგა დღის წესრიგში, რომ უცხოელი სპეციალისტები ჩართულიყვნენ, მაგრამ ეს არ გააკეთა ხელისუფლებამ. ახლა რატომ გააკეთებებს?! ვინმეს აქვს არგუმენტი, რატომ უნდა გააკეთოს ეს?! ის აკონტროლებს სიტუაციას

და ამბობს, რომ ფატალური შედეგი არ დადგება, ამას არ დაუშვებს. იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ არ იღებს საკვებს, არ სვამს წამლებს და არ სეირნობს. ცხადია, რომ ესეც ერთგვარი პროტესტია. ეს არ არის ღიად გამოცხადებული შიმშილობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის პროტესტის გარკვეული ფორმა. ის ვერ ეგუება არსებულ რეალობას, რაც ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აგდებს მას. ასეთი განმარტება მოვისმინე ერთ-ერთი ექიმისგან, რასაც ვეთანხმები.

– დასავლეთს რამდენად აინტერესებს სააკაშვილი?

– დღეს მსოფლიოში ისეთი პროცესები მიდის, გიგანტური პროცესები და ამ პროცესებში უშუალოდ არის ჩართული მთელი დასავლეთი – ამერიკა, ევროკავშირი და მთხარით, როგორც მოცლიან სააკაშვილისთვის?! დასავლეთმა თავისი სათქმელი უკვე თქვა სააკაშვილთან დაკავშირებით. ახლა მათ ამისთვის ნამდვილად არ სცალიათ. სულ სხვა პროცესები მიდის სამყაროში, სხვა რეალობა და წესრიგი იქნება.

რაც შეეხება თქვენს კითხვას ქალბატონ ალასანიას ვიზიტზე, ევროპარლამენტარები კულტურული ხალხია, რა თქმა უნდა, შვილთან დაკავშირებით ნებისმიერ დედას ეტყვიან სა-ნუგეშო სიტყვას, მაგრამ რაიმე ქმედითი ნაბიჯები რომ მოჰყვეს ამ შეხვედრებს, არა მგონია. ალასანიამ თქვა – უკრაინიდან წერილი წერილზე მოდის მისი უკრაინისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ის დალოცვლები,



ერთ შანსს რომ არ უშეგებენ, ჩვენს მთავრობაზე აუცილებელია არ თქვან, ამდენი გამოგზავნილი წერილიდან ერთი მაინც გამოაქვეყნონ. ან ერთხელ მაინც თქვან, სააკაშვილი გვჭირდება, გადმოგვეცესო.

ჩვენი უბედურება, ცხადია, ქვეყნის და მისი მოქალაქეების ის არის, რომ სააკაშვილს ვერ გავცდით. ახლა, როდესაც შესაძლებლობების ახალ ფანჯარაზე საუბარი, მედიის 90% სააკაშვილის თემას ეთმობა, რაც მსოფლიო რგოლი ხელისუფლებისთვის. ეს აწყობს ხელისუფლებას და ამიტომ ამ საკითხს არ ამოწურავს. ამიტომ ვართ ამ მოჯადოებულ წრეში. „ქართული ოცნება“ იმდენ ხანს აცოცხლებს სააკაშვილის თემას, რამდენ ხანსაც აწყობს და იქნება ხელისუფლებაში. სამუშაოდ, ეს ვერ გააცნობიერა ოპოზიციამ. კომიკურ რეალობაში ვართ, უკვე კარგა ხანია ტრაგიკომიკურში.

## კახა კალაძე: „პოლოლიაკი არის სამარცხვინო არსება“

– ასეთი არსებები, როგორც პოლოლიაკია, არიან სამარცხვინოები და ჩემი თხოვნა იქნება, ნახეთ, ვინ არის, რა ცხოვრებით ცხოვრობდა და რას წარმოადგენდა.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა, კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მან უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის, მიხაილო პოდოლიაკის იმ განცხადებას უპასუხა, სადაც ის ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუსი ოლიგარქი, რომელსაც საქართველოს მმართველ გუნდზე გავლენები აქვს.

კალაძის თქმით, პოდოლიაკის ეს განცხადება სამარცხვინოა. „ჩვენ არაერთი სამარცხვინო განცხადება მოგვისმენია და ჩემი თხოვნა იქნება, ძალიან მარტივად, ჩაეძიოთ და მოიძიოთ, ვინ არის პოდოლიაკი. ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ.

მე უკრაინასთან ძალიან მჭიდრო კავშირები მაქვს. წლების განმავლობაში ცხოვრობდი, იქ ვთამაშობდი და ასეთი არსებები, როგორც პოდოლიაკია, არიან სამარცხვინო. ჩემი თხოვნა იქნება, ნახეთ, ვინ არის, რა ცხოვრებით ცხოვრობდა და რას წარმოადგენდა ვინმე პოდოლიაკი, – განაცხადა კახა კალაძემ.



## დავით უსუფაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლების პოზიციის დემოკრატიული საფუძვლის გაუფასურება

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების პოზიციის არა მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის მიხაილო პოდოლიაკისთვის, არამედ დემოკრატიული საფუძვლის გაუფასურება.



როგორც უსუფაშვილმა ამ კონტექსტში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ორი დღის წინ საქართველოში ვიზიტად მყოფ ჩეხეთის საპარლამენტო დელეგაციას ჰქონდა კითხვები იმის თაობაზე, რომ ვერ გაიგეს, რას ნიშნავს საქართველოს მთავრობის პოზიციის, როცა ერთი მხრივ, უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობაზე საუბრობენ, ხოლო მეორე მხრივ, მინიმალურზე მინიმალური კონტაქტები აქვთ.

– გაუფასურია ერთი მხრივ იმაზე გაკეთებული განცხადება, რომ ჩვენ ეს უბედურება უფრო ადრე გადავივლინეთ და მეორე მხრივ, მთავრობებს შორის სატელეფონო კონტაქტიც არ არის, რომ რაღაცებზე ერთმანეთთან ინფორმაცია გაცვალონ.

ეს არის ძალიან სახიფათო ვითარება, რაც უნდა მოგვარდეს. მაგალითად, მთავრობას ამის სურვილი რომ ჰქონდეს, საკონტაქტო პირი – ვიცე-პრემიერი ან ვინმე სხვა უკვე ეყოლებოდა, ვინც უკრაინის ხელისუფლებასთან მუდმივ სატელეფონო ხაზზე იქნებოდა.

რუსეთი რომ სანქციებისთვის გვერდის ავლას შეეცდება და ამაში პარტნიორები დასჭირდება, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?! – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ცნობისათვის, უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის პოზიციის დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უპირისპირდება.

ზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის პოზიციის დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უპირისპირდება.

„საქართველოს მთავრობის და, რა თქმა უნდა, არა ხალხის, პოზიციის სრულეობა აშკარად უპირისპირდება დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების პოზიციას. საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ბატონ ივანიშვილს, რომელიც მკაფიოდ წარმოადგენილი რუსი ოლიგარქია და, სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია აქვს გავლენა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო, ცოტა არ იყოს, უცნაურად უყურებს უკრაინაში ომს. არ იკავებს ისეთივე მკაფიო და არაოპორტიუნული პოზიციებს, როგორც აქვს ევროკავშირის ქვეყნებს და შეერთებულ შტატებს. რაც შეეხება დაზვერვის მონაცემებს, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია [რუსეთის] მიმდინარე მოლაპარაკებებზე სხვადასხვა ქვეყნებთან, იქნება ეს ბელარუსი და რუსეთი, საქართველო და რუსეთი, თუ სომხეთი და რუსეთი. ჩვენი საგარეო დაზვერვა აკონტროლებს ამ ყველაფერს“ – განაცხადა პოდოლიაკმა.

## იაგო ხვიჩია: „საქართველოს მთავრობა გონს უნდა მოვიღოს“



სუფლება უკრაინას პასუხობს, რომ ბრალდებებზე მათგან მტკიცებულებებს ელოდებიან, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მტკიცებულებებს სანქციები მოჰყვება და სწორედ ამიტომ აკეთებენ ისინი პრევენციულ განცხადებებს.

– ძალიან ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო ეს განცხადებები, რადგან ჩვენ ბევრად მეტი მოგვეთხოვება, როგორც ოპოზიციულ ქვეყანას, რომელიც ბრძოლაშია, ისევე, როგორც უკრაინა.

ასეთი ქვეყნისგან ბევრად მეტს ელოდებიან და არა იმ პოზიციას, რაც ახლა საქართველოს მთავრობას უჭირავს, ამიტომ, ჩემი აზრით, მადლობაც არის სათქმელი, რომ ქართველი ხალხი არ გაგვივიდა იმ პოზიციისთან, რაც არ გვეკადრება ჩემი აზრით.

ჩემი აზრით, არასწორად გვესმის, რასაც გვეუბნებიან, როცა ვაკრიტიკებენ, რომ არსებობს რაღაც ტიპის მოლაპარაკებები თქვენს და რუსეთს შორის, ვითხოვთ ამის დამა-

დასტურებელ მტკიცებულებებს. მტკიცებულებები თუ დაიდო, მაშინ უნდა დაგასანქცირონ, შესაბამისად, ეს არის პრევენციული ღონისძიება, სადაც შენი მეგობრები გეუბნებიან, რომ „ჩვენ ვიცით რაღაც თქვენ შესახებ და არ გააგრძელოთ ისე, როგორც ჩაფიქრებული გქონდათ“. ამიტომ საქართველოს მთავრობა გონს უნდა მოვიდეს და დაიკავოს სწორი პოზიციები, ისევე, როგორც გერმანიის მთავრობას არანაკლებ აპრიტივებს უკრაინა და ნაცვლად იმისა, რომ „ნაცები“ ეძახონ, მძიმე არტილერიას უგზავნიან.

ჩვენც მსგავსი პოზიციის უნდა დავიკავოთ და იმში მყოფ ქვეყანას არ უნდა პასუხობდეს, რომ „ნაცები“ არიან, – განაცხადა ხვიჩიამ.

ცნობისათვის, უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლმა მიხაილო პოდოლიაკმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის პოზიციის დემოკრატიული საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უპირისპირდება.

## საქართველოში ბელარუსი და რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავლები 551%-ით და 133%-ით გაიზარდა

2022 წლის მარტში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში შემოსული რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მოგზაურების რაოდენობა. ამის შესახებ კვლევაშია აღნიშნული.

2022 წლის მარტში ბელარუსი და რუსი საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავლები 551%-ით და 133%-ით გაიზარდა, რაც ასევე განამტკიცებს რუსეთიდან და ბელარუსიდან მოგზაურთა სწრაფი შემოდინების ფაქტს.

„2022 წლის მარტში, რუსეთის მოქალაქე მოგზაურებისგან მიღებულმა შემოსავლებმა მნიშვნელოვანი ზრდა (133%) აჩვენა წინა თვესთან შედარებით და 34.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ბელარუსებისთვის ზრდა კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდა (551%), ხოლო შემოსავლებმა 29.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლების წილი რუსებისგან (+6 პროცენტული პუნ-

ქტი) და ბელარუსებისგან (+13 პროცენტული პუნქტი) წინა თვესთან შედარებით. საერთო ჯამში, ამ ორი ქვეყნის მოქალაქეებისგან მიღებულმა შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული მთლიანი შემოსავლების 37% შეადგინა. უკრაინელი მოგზაურებისგან მიღებული გაზრდილი შემოსავლების (40%-ით) მიუხედავად, უკრაინის წილი მთლიან შემოსავლებში 8%-მდე შემცირდა“ – ნათქვამია კვლევაში.





# მოლდოვაში შარლ მიხეილი ჩავიდა

## რას გულისხმობს რუსეთის მიერ წამოწეული სამხედრო აგრესიის მეორე ფაზა და რა კავშირი აქვს მასთან დნესტრისპირეთს?

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინაში, ასევე, მის მეზობელ მოლდოვაში განვითარებული პროცესები, მით უმეტეს, საომარი ქმედებები, პირდაპირ და ირიბად უკავშირდება საქართველოს. როგორც ცნობილია, უკრაინაში ომის პარალელურად, ბოლო ხანს სიტუაცია დაიძაბა მოლდოვას დნესტრისპირეთში.

ისხნება თუ არა უკრაინის მიმდებარე მეორე ფრონტი? ვის აწყობს არეულობა და სამხედრო მოქმედებები მოლდოვაში? ამაზე საკუთარი ქვეყნის მედიასთან მსჯელობას განაგრძობენ მოლდაველი ანალიტიკოსები.

დნესტრისპირეთში სიტუაციის არევის გამო ოთხშაბათს, 4 აპრილს, კიშინიოვში სამუშაო ვიზიტით ჩავიდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიხეილი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე პუტინი უკრაინას ოფიციალურად გამოუცხადებს ომს და დაიწყებს საყოველთაო მობილიზაციას. უკრაინის რაღამე კანონით (საბოლოო მოსამენით) საერთოდ აკრძალა პრორუსული პარტიების საქმიანობა ქვეყანაში, მოლდოვაში კი არ შეუშვეს რუსული „რია ნოვოსტის“ კორესპონდენტი, პროპაგანდისტი არტურ შაიხუტდინოვი, რომელიც დნესტრისპირეთის მონახულებას გეგმავდა.

### რა მოხდა დნესტრისპირეთში?

3 მაისს დნესტრისპირეთის დაბა მაიაკოვში უპილოტო საფრენი აპარატი აღმოაჩინეს. ადგილობრივი ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ აქ ტერაქტი აღიკვეთა. პირველად ვითარება 25 აპრილს დაიძაბა, როცა დაუდგენელმა პირებმა დაცხრილეს ტირასპოლის ცენტრში მდებარე დნესტრისპირეთის ე. წ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შენობა. მეორე დღეს დაბა მაიაკოვში, რადიოცენტრის ტერიტორიაზე, აფეთქდა ორი რადიოანაბ. 27 მაისს საროლები



იყო დნესტრისპირეთის ჩრდილოეთში, იარაღის სანაყობის სიახლოვეს.

მომხდარმა დიდი შეშფოთება გამოიწვია მოლდოვაში. ამის გამო დნესტრისპირეთი დატოვა ბევრმა ოჯახმა. კიშინიოვთან ტირასპოლს განსაკუთრებული მტრობა არა აქვს. ამის გამო დენილენის ნაწილმა მოლდოვას სხვა კუთხეებს შეაფარა თავი, ნაწილი უკრაინაში გადავიდა. ბევრმა ჩათვალა, რომ რუსეთი თავის ზრახვებს ასორციელებს. რუსეთის ცენტრალური სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა რუსტამ მინეკაევმა მანამდე განაცხადა „სპეცოპერაციის“ მეორე ფაზის ამოცანები. ერთ-ერთ ამოცანად მან დაასახელა სახმელეთო დერეფნის შექმნა დნესტრისპირეთთან. მინეკაევმა ამას მოაყოლა ფრაზა, რომელმაც მოლდოვას თავზარი დასცა. სამხედრო მალაჩინოსანმა აღნიშნა, თითქოს აქ შეინიშნება რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების შემთხვევები. მოლდოვას ხელისუფლებას ამის გამო საპირისპიროს

მტკიცება მოუხდა. ხელისუფლებამ განმარტებებისათვის დაიბარა რუსეთის ელჩი. აფეთქებები და სროლები დნესტრისპირეთში სიტყვიერ კრემლმაც დაგმო, ამას ტერაქტები უწოდა და მათი გამოძიება მოითხოვა.

### რა გამოხმაურებები მოჰყვა სროლებსა და აფეთქებებს

უკრაინისა და სხვა ქვეყნების ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ამით რუსეთს სურს უკრაინის ძალების ყურადღების გადატანა. რუსეთი და მისი სატელევიზიო დნესტრისპირეთი მომხდარს უკრაინას აბრალებენ და აცხადებენ, რომ ამით კიევი პარტნიორებისგან ცდილობს ინტენსიური დახმარების მიღებას. არსებობს მოლდაველი ვერსიაც. კიშინიოვის ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ეს იყო დნესტრისპირეთის სხვადასხვა დაჯგუფებების შიდა გარჩევები.

ანალიტიკოსი იგორ ბოცანი მიიჩნევს, რომ მოლდოვას ხელისუფლების ვერსია გათვლილია იმაზე, რომ მოხდეს არც რუსეთისა და არც უკრაინის პროვოცირება.

წყარო მოლდოვას მთავრობაში აცხადებს, რომ დნესტრისპირეთში არიან ძალები, რომლებსაც კონფლიქტში ჩართვა უნდათ, მაგრამ ისინი თვითმკვლელები არ არიან, რომ ამგვარ პროვოცაციებზე წავიდნენ.

მოლდოვას თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი დუმიტრუ მინზერარი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მომხდართან კიევის საერთო არაფერი აქვს. უკრაინისთვის ამგვარი აქციები უაზროა. ეს რომ უკრაინას მოეწყოს, მისი სამიზნე იქნებოდნენ რუსი სამხედროები და ჩვენ ვნახავდით სერიოზულ დანაკარგს მათ შორის.

მოლდავეთის თავდაცვის ექს-მინისტრი ამბობს, რომ ამ აქციების უკან დგანან რუსეთის ძალოვანი უწყებები.

### რა მიზანი აქვთ რუსებს

დუმიტრუ მინზერარის სიტყვებით, რუსეთის ძალოვანი უწყებების ნამოქმედარს ორი ასხნა აქვს. ჯერ ერთი, აფეთქებები ქმნის ხელსაწყო დაძაბულ ატმოსფეროს, უსაფრთხოების არარსებობას. ეს არის ხელსაწყო მუქარა რეგიონის მიმართ, რათა იქ შეიყვანონ რუსეთის დამატებითი ჯარები. მეორეც, განხორციელებული აქციებით წარმოიშვა დიდი „ხმაური“, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ლინისძიებას ტერაქტებზე ტირასპოლის პასუხების კონტექსტში. ეს ხმაური ნიღბავს სამხედრო გადაადგილებებს რეგიონში. ეს აქციები არის არა პროვოცაცია, არამედ საბაზი რუსეთის სამხედროებისათვის.

ყოფილი მინისტრის აზრით, მოსკოვი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია უკრაინის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა რუსეთის ჯარისა და დნესტრისპირეთის გასამხედროებული ფორმირებების შემადგენლობით და ოდესის რეგიონში სამხედრო შეტევის მხარდაჭერა.

### „დესტაბილიზაცია არ აწყობთ მოლდოვას და უკრაინას“

ანალიტიკოსი იგორ ბოცანი ამბობს, რომ რეგიონში დესტაბილიზაცია არ აძლევს ხელს უკრაინასა და მოლდოვას. უკრაინისათვის ეს არის საფრთხე და რგოლი გაყინული კონფლიქტების ჯაჭვში. რუსეთი აცოცხლებს გაყინულ კონფლიქტებს იმ დროს, როცა მოლდოვას არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად არ შეუძლია კონფლიქტური რეგიონის სწრაფად ინტეგრირება.

## რუსეთი ზეთზე საექსპორტო გადასახადს 153 დოლარით ზრდის



1-ელი ივნისიდან რუსეთიდან მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო გადასახადი ტონაზე 372,3-დან 525 დოლარამდე გაიზარდება. მზესუმზირის შროტზე კი – 96,3 დოლარიდან 105 დოლარამდე ტონაზე. ინფორმაციას რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

აპრილში საექსპორტო გადასახადი ტონაზე 313 დოლარს შეადგენდა, მარტში 260 დოლარი იყო, თებერვალში – 251 დოლარი, იანვარში – 280,8 დოლარი, 2021 წლის დეკემბერში – 276,7 დოლარი, ნოემბერში – 194,5 დოლარი, ოქტომბერში – 227,2 დოლარი, სექტემბერში – 169,9 დოლარი ტონაზე.

მზესუმზირის ზეთის ექსპორტზე მცურავი გადასახადი რუსეთის ფედერაციაში 2021 წლის 1-ელი სექტემბრიდან შემოვიდა. მისი ზომა 70%-ით დამოკიდებულია საბაზისო ფასის სხვაობაზე (1000\$ ტონაზე) და საორიენტაციო ფასს შორის შემცირებული კორექტირების ფაქტორის მნიშვნელობაზე (\$50 1 ტონაზე).

„მზესუმზირის დემფერის“ მექანიზმი 2022 წლის 31 აგვისტომდე იმოქმედებს.

ალანაიშნავია, რომ წლების განმავლობაში საქართველოში ზეთის მთავარი იმპორტიორი რუსეთი იყო. თუმცა მარტში სიტუაცია ოდნავ შეიცვალა და რუსეთმა მთავარი იმპორტიორის სტატუსი „დაკარგა“. საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის მარტში საქართველოში 511 ტონა ზეთის იმპორტი განხორციელდა, ჯამში 820,9 ათასი დოლარის ღირებულების. ყველაზე დიდი რაოდენობით პროდუქტი ქვეყანამ აზერბაიჯანი იყიდა – 270,9 ტონა, 495,8 ათასი დოლარის ღირებულების. რუსეთიდან იმპორტმა კი 239 ტონა შეადგინა, ჯამში 322,7 ათასი დოლარი.



## ზელენსკი: „ომის შედეგად უკრაინის ალღენას 600 მლრდ დოლარი დასჭირდება“

ომის შემდეგ უკრაინის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის აღდგენას, დაახლოებით, 600 მლრდ დოლარი დასჭირდება. ამის შესახებ პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ, თქვა ქალაქ შტრეიტ უოუინგ-ის მიერ ორგანიზებულ აღმასრულებელ დირექტორთა სამიტზე განაცხადა.

„დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვების შემდეგ ჩვენ ყველაფერს სწრაფად გავაკეთებთ და უკრაინა აღდგინდება უფრო ლამაზი იქნება“ – აცხადებს ზელენსკი, რომელიც უცხოურ კომპანიებს მიმზიდველ საინვესტიციო კლიმატს ჰპირდება.

უკრაინისთვის ომით მიყენებული ზარალი ოდენობად 600 მლრდ დოლარი პირველად პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალმა დაასახელა. მისი თქმით, ეს თანხა გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად იქნება საჭირო. მანამდე უკრაინის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ქვეყნის აღსადგენად შესაძლოა, სანქციების შედეგად გაყინული რუსეთის ბანკის უცხოური რეზერვები გამოიყენონ. უკრაინის ეკონომიკის სამინისტრომ მათი ოდე-



ნობა 415 მლრდ დოლარად შეაფასა და დასავლელ პარტნიორებს სთხოვა, შეიმუშაონ მექანიზმი ამ თანხის კიევის სასარგებლოდ კონფისკაციისთვის. რუსეთის ფინანსთა მინისტრ ანტონ სილუანოვის მონაცემებით, დასავლეთმა საზღვარგარეთ ცენტრალური ბანკის 640 მლრდ დოლარის უცხოური რეზერვებიდან, დაახლოებით, 300 მლრდ დოლარი გაყინა.

დენის შმიგალი ამბობს, რომ ამ ეტაპისთვის კიევის თვეში 4-დან 5 მლრდ დოლარამდე სჭირდება, რა მიზნითაც მთავრობა მოლაპარაკებებს მსოფლიო ფონდთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და 20-თან აწარმოებს. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ჰუმანიტარულ დახმარებაზე უკრაინელი დევნილებისთვის, რომელთა რიცხვმა, დაახლოებით, 7 მილიონ ადამიანს მიაღწია.

ლომბერგ-ს ზელენსკის მეორე განცხადება მოჰყავს, რომლის მიხედვითაც ამჟამად ქვეყანა თვეში 7 მლრდ დოლარი სჭირდება. პრეზიდენტის თქმით, ეს თანხა არა მხოლოდ ქვეყნის აღსადგენად, არამედ ხელფასების დასარიგებლად და მოქალაქეების მიმართ სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად არის საჭირო.

ამასთან, მსოფლიო ბანკმა უკრაინისთვის ომით მიყენებული ზარალი 60 მლრდ დოლარად შეაფასა. თუმცა ბანკის პრეზიდენტმა, დევიდ მალპასმა დააკონკრეტა, რომ ეს მხოლოდ წინასწარი შეფასებაა, რომელიც ეკონომიკურ ხარჯებს არ მოიცავს და მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და შენობების განადგურებით მიყენებულ ზარალს გულისხმობს. მალპასის თქმით, ბრძოლების გაგრძელებასთან ერთად, ზარალის ოდენობაც გაიზარდება.

## მიკროსაფინანსოების წილი მოგება 23,7%-ით გაიზარდა

2022 წლის პირველი კვარტალი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 28 457 642 ლარის წმინდა მოგებით დახურეს. ეს კი 5,452 მლნ ლარით, ანუ 23,7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2021 წლის პირველ კვარტალში მისო-ებმა 23 004 839 ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2022 წლის პირველ კვარტალში მისო-ების მთლიანი აქტივები შეადგენდა 1,641 მლრდ ლარს (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 1,539 მლრდ ლარს),



მთლიანი კაპიტალი კი 595,2 მლნ ლარი იყო (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 512,2 მლნ ლარი).

დოკუმენტის მიხედვით, 2022 წლის პირველ კვარტალში მისო-ების საპროცენტო შემოსავალმა 84,090 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების სესხებზე 76,223 მლნ ლარი მიიღო, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან საპროცენტო შემოსავალმა კი 1, 670 მლნ ლარი შეადგინა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში მისო-ების არასაპროცენტო შემოსავლებმა 16,379 მლნ ლარი შეადგინა.

ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის პირველ კვარტალში ბაზარზე 38 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა.

## ერთი თვეში ვიზიტორები რუსეთიდან — 48,9%-ით, ბელარუსიდან — 42,7%-ით და უკრაინიდან 104,2%-ით გაიზარდა

მიმდინარე წლის აპრილში, საქართველოში 244 293 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტორი დაინახეს. აქედან სხვა ვიზიტორები (არატურისტული) – 29 649, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები 214 644 იყო. ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ვიზიტორების მიხედ-

ვით ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა იყო რუსეთი, საიდანაც 2022 წლის აპრილში 33 556 ვიზიტორი განხორციელდა. მას მხოლოდ თურქეთი უსწრებს. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწეული აგრესიის შემდეგ რუსეთიდან ვიზიტორების რაოდენობა გაზარდილია. კერძოდ, 2022 წლის მარტში ეს მაჩვენებელი – 22 536 იყო. ზრდა ერთ თვეში 48,9%-ია.

ამასთან, ადმინისტრაციის ცნობით, ვიზიტორების რიცხვი გაზარდილია ბელარუსიდან

და უკრაინიდანაც. კერძოდ, გასულ თვეში ბელარუსიდან საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ 7 507 ვიზიტორი განხორციელდა, მაშინ როცა, 2022 წლის მარტში ეს მაჩვენებელი – 5 260 იყო. ზრდა 42,7%-ია.

რაც შეეხება უკრაინას, ვიზიტორები აპრილში წინა თვესთან შედარებით, 104,2%-ით გაიზარდა. უკრაინიდან მიმდინარე წლის მარტში ვიზიტორები – 13 018; 2022 წლის აპრილში კი – 6 375 შეადგინა.





### რუსეთმა უკრაინიდან 1.1 მილიონი ადამიანი გადაასახლა



#### მათ ციმბირში უშვებენ

პირველადი მონაცემებით, რუსეთმა უკრაინიდან 1.1 მილიონი ადამიანი გადაასახლა. ინფორმაციას უკრაინის სახალხო დამცველი ასაჯაროვებს.

ლუდმილა დენისოვას ცნობით, რუსულ არმიას წინასწარ შედგენილი სიებით ხალხი ჯერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადააყვავს, შემდეგ კი ციმბირში უშვებს. გადასახლებულებს შორის ობოლი და უსახლკარო ბავშვებიც არიან.

სახალხო დამცველი ამბობს, რომ ბავშვების დასაბრუნებლად უკრაინა ძალისხმევას არ იშურებს, თუმცა რუსეთმა ისინი სხვადასხვა ოლქში გაფანტა.

– რუსებს საფილტრაციო სიები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჰქონდათ შედგენილი, 18 თებერვალს უკვე 90 ათასი ჩვენი მოქალაქე რუსეთში იყო გადაყვანილი. ყველა მათგანი იძულებით. სიებში ენერა, ვინ, როდის და სად უნდა წაყვანათ.

მოქალაქეების დიდი ნაწილი იძულებით გადაიყვანეს ციმბირის ტერიტორიაზე. ბავშვები, მოხუცები, საშუალო ასაკის მოქალაქეები, ზუსტად გათვალეს, ვინ უნდა გაეტაცებინათ. ჯერ ისიც კი არ ვიცით, რამდენი მოქალაქე გადაიყვანეს, მაგრამ პირველადი მონაცემებით 1.1 მილიონი ადამიანი ისეთი, ვისაც დააკარგინეს სახლი და რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონებში გაანაწილეს.

ლუგანსკისა და დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებიდან აგზავნიდნენ ბავშვებს, ობლებს, უსახლკაროებს, სოციალურად დაუცველებს. ეს ბავშვები რუსეთის ოლქებში გაფანტეს. ოკუპანტი ამ ბავშვების გაშვილებას აპირებს, – აცხადებს დენისოვა.

სახალხო დამცველის თქმით, გადასახლებული უკრაინელების ზუსტი რიცხვი უცნობია, რადგან უკრაინისთვის მხოლოდ ის ციფრებია ცნობილი, რომელთაც რუსეთის ფედერაცია ასაჯაროვებს.

### უკრაინელმა სამხედროებმა რუსული



#### ქალაქის ტექნიკა დაწვეს

რუსეთის ფედერაციის არმიამ უკრაინის ტერიტორიაზე სამხრეთის მიმართულებით გადაადგილება სცადა, თუმცა, უკრაინელმა დამცველებმა სწრაფად აღმოაჩინეს ოკუპანტები და მათ განადგურებელი დარტყმა მიაცემეს.

ინფორმაციას უკრაინული მედია „სამხრეთის“ სარდლობაზე დაყრდნობით ავრცელებს.

„რამსტები“, რომლებიც ცდილობდნენ წინსვლას, „სამხრეთის“ მებრძოლებმა შენიშნეს. მათ დარტყმა მიაცემეს ტექნიკის კოლონას, რის შემდეგაც ვერც ერთი რუსი დამპყრობელი დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„სამხრეთის“ სარდლობამ გაავრცელა ვიდეო, სადაც ჩანს, როგორ ანადგურებენ უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედროები რუსულ აღჭურვილობას.

### ევროკავშირი რუსული ნავთობის სრულ



#### აკრძალვას გეგმავს

ევროკავშირის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მე-6 პაკეტის გამოცხადებისას განაცხადა, რომ ევროკავშირი ეტაპობრივად რუსული ნავთობის სრულ აკრძალვას გეგმავს.

ამის შესახებ მან ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში რუსეთისგან ნავთობის მიწოდებას ეტაპობრივად შევჩერებთ, – განაცხადა ლაიენმა.

ამასთან, ევროკავშირის სანქციების მე-6 რაუნდი აუკრძალავს სამ რუსულ სახელმწიფო მანქანებს ევროკავშირის ტერიტორიაზე ეთერში გასვლას.

ევროკავშირის სანქციების მე-6 პაკეტი ასევე მოიცავს მაღალი რანგის რუს სახმედრო ოფიცრებსა და სხვა პირებს, რომელთაც უკრაინაში შეჭრის დაწყებამდე ომის დანაშაულები ჩაიდინეს.

– ჩვენ ვიცით, ვინც ხართ, თქვენ ამას ვერ გაექცევით, – აღნიშნა ლაიენმა. სანქციების სამიზნე, ასევე, რუსეთის უდიდესი ბანკი „სბერბანკი“ გახდა, რომელიც, სანქციების მიხედვით, „საფიფტის“ საგადასახლო სისტემიდან გაითიშება.

### ბელარუსმა მასშტაბური სამხედრო



#### წვრთნები დაიწყო

ბელარუსმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო.

ინფორმაციას ბელარუსის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, წვრთნები მოიცავს სამხედრო ტექნიკის გამოცდას საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად.

უწყების ცნობით, წვრთნები არც ევროპულ საზოგადოებას და არც მეზობელ ქვეყნებს საფრთხეს არ უქმნის.

მათივე განცხადებით, წვრთნების მიზანია, შეაფასოს სამხედრო მოსამსახურეების მზადყოფნა და შესაძლებლობები კრიზისული სიტუაციების წარმოქმნისას სწრაფი რეაგირებისთვის.

მათი თქმით, სამხედრო ნაწილები იმოქმედებენ უცნობ რეაქციებზე და სწრაფად ცვალებად გარემოში.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უცვარი შემონახვა სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმაა.

უკრაინის საზღვრის დაცვის სამსახური არ გამოირჩევა, რომ რუსეთმა ბელარუსის ტერიტორია და შეიარაღებული ძალები უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენოს.

– არ გამოვირცხავთ, რომ რუსეთის ფედერაციამ, რაიმე მომენტში, ბელარუსის ტერიტორია, ბელარუსის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენოს, ამიტომ ჩვენ მზად ვართ, – განაცხადა საზღვრის დაცვის სამსახურის პრესსპიკერმა, ანდრეი დემენკომ მას შემდეგ, რაც ბელარუსმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო.

დემენკოს თქმით, უკრაინამ ბელარუსთან საზღვარი რუსეთის ქვეყანაში შეჭრის შემდეგ გააძლიერა.

მომზადდა ნიკა თევზაძემ

## ოლიმპი პირველი ნახევარფინალისტი

პირველი გუნდი, რომელმაც მიმდინარე სუპერლიგის ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ოლიმპია. დავით როგავას განვრთნილმა გუნდმა მეგას მე-3 მატჩიც მოუგო და ფლეი ოფის მეოთხედფინალური სერია მშრალი ანგარიშით – 3:0 დაასრულა. ამ ანგარიშით ნახევარფინალში გასვლის შანსი აქვთ ქუთაისსა და ბათუმს, რომლებიც სერიას 2:0 იგებენ.



ოლიმპელებმა მეგას ისე მოუგეს, წარმატების შანსი არ მიუციათ. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდს ისე აკლდა ძირითადი გამათამაშებელი ტაირელ კორბინი, რომლის არყოფნაშიც ოლიმპს უკანა ხაზზე პრობლემა არ შექმნიდა. პირველი პერიოდის შემდეგ როგავას გუნდი 10 ქულით ლიდერობდა, დიდი შესვენებისთვის კი, უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ დამაჯერებლად ლიდერობდნენ, ოლიმპელები თავს მოდუნების საშუალებას არ აძლევდნენ და, შესაბამისად, გამარჯვებამდეც იოლად მივიდნენ. საბოლოოდ ოლიმპმა 93:68 გაიმარჯვა და ნახევარფინალში ნაადრევად გასვლა იზიმა.

გუნდს 25 ქულით ედვარდ ეკიორიმ ულიდერა. 14 ქულა ილია ლონდარიძემ, ხოლო 13-13 დავით ლომიძემ და იმორას ეიჯიმ მიითვალეს. მეგაში 21 ქულით ჯიმონ ჰენსონი გამოირჩა. 17 ქულა ოთარ ბულიავას ანგარიშზე დაგროვდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ტიტებს მეოთხედფინალური სერიის მე-3 მატჩი დამაჯერებლად მოუგო და ნახევარფინალამდე ერთი გამარჯვება

დარჩა. ლექსო ლაფანაშვილის განვრთნილმა თსუ-მ მეტოქე ისე იოლად დაამარცხა, მთელი შესვენების მანძილზე არაფერი გასჭირვებია.

ანგარიში ყველაფერს ნათლად ასახავს – 91:59. ბესიკ ლეჟავას განვრთნილმა ტიტებმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა ვერც ფარქვეშ და მთლიანად უფრო, ვერც პერიმეტრზე. სტუდენტებმა პირველივე წუთებიდან სოლიდური ლიდერობა მოიპოვეს, რომელსაც მთელი თამაშის მანძილზე წარმატებით ზრდიდნენ და საბოლოოდ ბოლო პერიოდის რეკორდულად დიდი საპლეიოფო სხვაობა დააფიქსირეს.

ტიტების მთავარი კოზირი ეფექტური ვერ გამოდგა. სუპერლიგის დომინანტი ცენტრი, ჯავიონ ოგუნეიმი ფარქვეშ ვერ გაბატონდა. მისმა ოპონენტმა, პაპ დიოპმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სამწამინაში ტიტებს არაფერი დაუთმო. თსუ-ს პერიმეტრზე უფრო დიდი უპირატესობა, რითაც მეტოქეს წარმატების ყველანაირი შანსი გადაეწურა.

მატჩის მე-3 პერიოდში სხვაობამ 30 ქულას რომ მიაღწია, შეხვედრამ ფაქტობრივად აზრი დაკარგა. ბოლო პერიოდში მოედანზე სათადარიგოები გამოჩნდნენ და შეხვედრაც ასალგაზრდების ბურთობაში ჩამთავრდა.

თსუ-ში საუკეთესო შედეგი ჯუჯვარის ჰეისმა დააფიქსირა – 15 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი. ბომბარდირი 16 ქულით პაპ დიოპი გახდა, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრაც მიითვალა. 11-11 ქულა ჰქონდათ ნიკოლოზ დარბაიძესა და ლოველ ქაბილს.

მომზადდა მისიელ ჟორჯოლიანმა

### ქალაქი დოსკოპი

#### ქალმა კატასთან იქორწინა

ლონდონის მცხოვრებმა ქალმა საკუთარ კატასთან იქორწინა, ვინაიდან შიშობდა, რომ მომავალ მოიჯარეებს შეიძლება აეცულებინათ, საყვარელ ცხოველს დაშორებოდა.

49 წლის დებორა ჰოჯის თქმით, მოიჯარეები ბინაში შინაური ცხოველების ყოლის უფლებას არ აძლევდნენ და უკვე აიძულეს, რომ სხვა ბინა მოეძებნა. იმისთვის, რომ გამოსახლება თავიდან აეცილებინა და თავის სუთი წლის კატას, სახელად ინდიას არ დაშორებოდა, გადაწყვიტა, მასთან ექორწინა.

ქალმა ქორწილი ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პარკში მოაწყო. ჰოჯს ეცვა ელექტური სმოკინგი, ხოლო ინდიას პეპელა ჰალსტუხი ეკეთა. ცერემონიას დებორას მეგობარი ქალი უძღვებოდა.

– დასაკარგი არაფერი მაქვს, ამიტომ გადაწყვიტე, ჩემ კატასთან მექორწინა! ასე განვამტკიცე ჩემი განზრახვა, რომ არასოდეს დავშორდე ცხოველს, რომელსაც ვეთაყვანები. ინდიას გარეშე ვერ ვძლებ. ის საოცარი და ალერსიანია. ბავშვების შემდეგ ის უმთავრესია ჩემ ცხოვრებაში, – განაცხადა ჰოჯმა.

ცერემონიას ქალის მეგობრები ესწრებოდნენ, თუმცა არ ესწრებოდნენ მისი შვილები. თავად დებორას აღიარებით, მისი შვილები ფიქრობენ, რომ ის შეიშალა.

### მსოფლიოს უხუცეს ადამიანად ფრანგი მონაზონი აღიარეს

გინესის რეკორდების წიგნმა მსოფლიოს უხუცეს ადამიანად ფრანგი მონაზონი ლიუსილ რენდონი აღიარა, რომლის ასაკი 118 წელს შეადგენს. რენდონი 1904 წლის 11 თებერვალს დაიბადა. 1944 წელს ის კათოლიკე მონაზონი გახდა და ახალი სახელი – და ანდრე მილო. ამჟამად ის მოხუცებულთა სახლში ცხოვრობს და ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. ქალმა ნაწილობრივ დაკარგა სმენა, თუმცა, მისივე თქმით, ნათელი გონების შენარჩუნებას ცდილობს.

– დილის შეიდა საათზე მაღვიძებენ, მაჭმევენ, შემდეგ მაგიდასთან მსვამენ, რომელთანაც წვრილმანი საქმეების კეთებით ვარ დაკავებული, – ამბობს რენდონი. მოხუცებულთა სახლის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ უხუცესი ქალბატონი ყოველდღე ერთ ბოკალ ღვინოს სვამს.

მსოფლიოს უხუცესი ადამიანის ტიტული დებორამ იაპონელი კანე ტანაკას გარდაცვალების შემდეგ მიიღო, რომელიც 25 აპრილს 119 წლის და 107 დღის ასაკში გარდაიცვალა.



### ფერმერმა ოთხი ათასი წლის ქალღმერთის ქანდაკება აღმოაჩინა



ფერმერმა პალესტინის ლაზას სექტორიდან საკუთარ მიწაზე უძველესი ქალღმერთის უიშვიათესი ქვის ქანდაკება აღმოაჩინა, რომლის ასაკი ოთხი ათასი წელს აღემატება.

ქანდაკება ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2500 წლით თარიღდება. სიძველეთა საქმეთა სამინისტროში ამტკიცებენ, რომ კირქვისგან გამოქანდაკებული 22 სანტიმეტრი თავი დასავლეთ სემიტურ ქალღმერთ ანატ ეკუთვნობდა.

– ანატი სიყვარულის, სილამაზის და ომის ქალღმერთი იყო ქანაანის მითოლოგიაში, – განმარტა სამინისტროს ხელმძღვანელმა ჯამალ აბუ რიდმა.

### ლატარიის გამარჯვებულმა ქალმა ფულის გაჭირვებულებისთვის დარიგება დაიწყო

ბრიტანეთის დარემის საგრაფოს მცხოვრებმა ლატარიის გამარჯვებულმა ქალმა ქველმოქმედებას მიჰყო ხელი და მოგებული თანხის ნახევარი გაჭირვებულ ადამიანებს გადაურიცხა. 55 წლის ყოფილი სოციალური მუშაკი და მასწავლებელი ფრენსის კონოლი ყოველთვის სხვების დახმარებას ესწრაფოდა. ცხრა წლიდან ის სასწრაფო დახმარების კოლონტიორი იყო სენტ-ჯონში და შიდსით დაავადებულთა დახმარების ხაზი შექმნა ბელფასტში სტუდენტობის დროს.

2019 წელს კონოლმა ლატარიაში 115 მილიონი ფუნტ სტერლინგი მოიგო და მაშინვე ფულის ნაწილი მეგობრებსა და ნათესავებს დაურიცხა. მათი სია, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა, ქალმა ადრევე შეადგინა.

შემდეგ მან ორი საქველმოქმედო ფონდი დააარსა. ერთი ჩრდილოეთ ირლანდიაში, საიდანაც იგი წარმოშობითა და მას გარდაცვლილი დედის სახელი დაარქვა. მეორე ფონდი ქალმა დარემის საგრაფოს ქალაქ პარტლუპულში დააფუძნა, სადაც ის ბოლო 30 წელიც ცხოვრობს. ფონდი ეხმარება ახალგაზრდა ძიძებს, ხანდაზმულ ადამიანებს და ლტოლვილებს. საერთო ჯამში, მან 60 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაარიგა.



მომზადდა კახა ხატიაშვილმა

# სანდრო მამუკლაშვილი: „გვინდა, საქართველო იაზრდეს“

კალათბურთი მმართველი ორგანიზაციის (ფიბა) ვებ-გვერდი მოახლოვებულ ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრებზე და მის კალათბურთულ სანდრო მამუკლაშვილზე წერს.

სექტემბერში საქართველოს ნაკრები მესამედ იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე. ჯგუფის მატჩებს თბილისი უმასპინძლებს და სანდრო მამუკლაშვილი იმედი აქვს, რომ ნაკრების მიერ ნაჩვენებები თამაშით გულშემატკივარი გაიხარებს.



### სანდრო მამუკლაშვილი:

– ფანტასტიკური შანსია, მთელი ქვეყანა ჩვენ გვერდით იქნება. ყოველთვის, როდესაც ნაკრები შინ თამაშობს, დიდ სიყვარულს ვგრძობთ. ჯგუფური ეტაპის მატჩების შინ გამართვა დიდებული მოვლენაა – გვინდა ჩვენმა ქვეყანამ იაზრდეს. გულშემატკივარი ჩვენი მე-6 მოთამაშეა. ატმოსფერო საოცარი იქნება, არენა ბოლომდე გაივსება და ახმაურდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროპის ჩემპიონატის თანამაჰინძრეა, შესარჩევ ეტაპზე მაინც ითამაშა და 6-დან 4 მატჩი მოგო. მათ შორის, სერბეთი ბელგრადში დაამარცხა.

– მთავარი ამოცანაა, მოვიგოთ რაც შეიძლება მეტი მატჩი და მოვიპოვოთ ფლეი ოფის საგზური. ევროპის ჩემპიონატში მუშაობს, ყველა კარგი გუნდია და მიზნის მისაღწევად დიდი კონკურენციის დაძლევა საჭიროა. როდესაც საკუთარ ქვეყანას წარმოადგენ, სუბერმოტივირებული ხარ, მოედანზე მაქსიმუმს დებ. უნდა ვუჩვენოთ, რომ დიდებული ნაკრები გვყავს და შეგვიძლია წარმატებით ვიაროთ მიზნისკენ.

სანდრო თინიჯერი იყო, როდესაც საქართველოს ნაკრებში პირველად ითამაშა. ეს იყო მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. მამუკლაშვილი სოციალურ ქსელში ზაზა ფაჩულიამ პირველმა მიიწერა, რის შემდეგაც სანდრო მამუკლაშვილი ჩემპიონის დაუახლოვდა.

– ზაზა ჩემი ახლო მეგობარი და მეტროპოლიტა. უფროსი ძმისაა. ძალიან მაღალი ვარ იმ რჩევებისთვის, რასაც ფაჩულია ბოლო წლებში, მძალევეს. მასთან შეხვედრა საოცარი მომენტი იყო. არასოდეს დამეცინებოდა ის ქართული კალათბურთის ლეგენდა და უამრავი კალათბურთელის ინსპირაციის წყაროა.

საქართველოსთვის ნბა-ში კალათბურთის ყოლა, საოცარი ამბავია. ზაზა პატივსაცემი პიროვნებაა და ბევრ კალათბურთელს ესმარება ოცნებების ახდენაში.

მამუკლაშვილმა მილოუკი ბაქსის მისიურით სეზონი ეფექტური მატჩით დაასრულა: 28 უტა და 13 მოხსნა მოაგროვა. მამუს გარდა ამერიკაში მალე დონეზე თამაშობენ გოგა ბითაძე და გიორგი ბუფანიშვილი. ახლგაზრდა ტალანტების გა-

მოცდილ კალათბურთელებთან (გიორგი შერმაძიანი, თორნიკე შენგელია) შერწყმა გულშემატკივარს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს.

– კარგი, ტანმალაღი შემადგენლობა გვყავს. საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია, რომელმაც უმაღლეს დონეზე უნდა გაიბრწყინოს. მრავალმხრივი თამაში შეგვიძლია: გვყავს მალე და შეგვიძლია ფარქვეშ უპირატესობის მოპოვება, ასევე შეგვიძლია საშუალო და შორი დისტანციიდან ტყორცვა. ასეთი იარაღის ქონა ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ ჩვენი მთავარი სიძლიერე არის ის, რომ საქართველოს ნაკრების მაისური გვეცმევა. ასეთ დროს ლიმიტი არ არსებობს. 120%-ით უნდა დაიხარჯო, რომ დანარჩენებისთვის კარგი თანაგუნდე იყო. ჩვენ მთელი ქვეყნისთვის ვთამაშობთ. გამოცდილი და ახლგაზრდა კალათბურთელების კარგი ნაზავი გვყავს. გამოცდილით ძალიან ბევრს ვისწავლით.

საქართველოს ნაკრებს ივლისში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის ესპანეთთან. ამავე გუნდს სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე შეხვდება.

– ევროპის ჩემპიონატზე საინტერესო ჯგუფში მოვხვდით. ყველა გუნდს აქვს ფლეი ოფის გასვლის შესაძლებლობა. ყველა ბოლომდე იბრძოლებს. ესპანეთი ძალიან ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებიდან ბევრი ვეტერანი ვარსკვლავი ნაწიდა, მაინც კარგი გუნდია.

# კვარაცხელია თბილისელი გულშემატკივარი ტრიზუნაზე დააბრუნა

დინამო (თბ)-დინამო (გთ) 0:0 თბილისი. დინამო არენა

დინამო (თბ): პრიეტო, ხვადაგიანი, ბენიო, კალანდაძე, მალი (სტეფენი 83), ლომინაძე (მოისწრაფიშვილი 67), ოსიყმაშვილი, ხარაბაძე, ბარნისი (თ.კირკიტაძე 67), გაბედავა (ბილენი 83), კამარა

დინამო (გთ): კუბატაძე, აზაროვი, რეზიაშვილი, მკობახიძე, ჩაბრაძე, ტყედი, ალთუნაშვილი (ბიძინაშვილი 86), რადინი (ფალავანდიშვილი 86), კვარაცხელია (ჯილაური 90), დავითაშვილი (ფანცულაია 74), მამუკლაშვილი (გაფრინდაშვილი 90)

მიუხედავად ნულოვანი ფრისა, ტურის ცენტრალური მატჩი საკმაოდ კარგი გამოდგა. მარტო ის რად ღირს, რომ „დინამო არენაზე“ 20-22 ათასი მაყურებელი მივიდა.

კონკრეტულად ეროვნულ ჩემპიონატს თუ ავიღებთ, ამდენი მაყურებელი ბოლო ათწლეულში არც ერთ მატჩს არ დასწრებია. „დინამო არენაზე“ ნამდვილი საფეხბურთო ატმოსფერო იყო. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში ფეხბურთი უყვართ, მაგრამ მოვლა და პატივითაა სჭირდება, რაც ასე სანატრელი გახდა ჩვენს ქვეყანაში.

უნდა შევეხოთ გულშემატკივართა ქცევასაც. მატჩის ბოლოს მოედანზე განუკითხობა იყო. 500-მდე ადამიანი მოედანზე გადახტა, ვინ რატომ დარბოდა და რისი გულისთვის, არავინ იცის. ახლა თავად მატჩი: დასაწყისი დედაქალაქელების იყო და 20 წუთში 2-ჯერ მოარტყეს ბურთი ძელს, ერთი გაიტანეს, მაგრამ თამაშარე მდომარეობის გამო გააუქმდა.

ამის შემდეგ ზღვისპირელები გააქტიურდნენ. პირველ ტაიმში რამდენჯერმე მწვავედ შეუტყეს, შესვენების შემდეგ კი ხარისხ უკვე თბილისელებს ნაქმარა. საბოლოოდ – 0:0.

დინამო-ტორპედო 2:0 გორი. თენგიზ ბურჯანაძე 1:0 გონსალვესი (11), 2:0 მაქსაქარი (90) დილა: ბულისკერია, ჩიტეიშვი-



ლი, ჭიჭინაძე, სანტოსი (ძონენიძე 85), მოსიაშვილი (ლომთაძე 63), ლუდუშაური (დრამე 71), თ.კაპანაძე (მაქსაქარია 71), ნონდი, გაგნიძე, გონსალვესი (გომისი 63), სილავა

ტორპედო: კვასცაძე, აბულაძე, ნადარაია, ცინცაძე (ძარია 73), გ.კუხიანიძე, პაპუნაშვილი (ბუღარიძე 46), შუღლია, მანჯგალაძე (ათუვაძე 85), არაბიძე, არველაძე (ვახიბერაძე 62), შერგელაშვილი (სანდოხაძე 62)

დილა საკუთარ არენაზე ჩინებულად ირჯება და ამ სეზონში თენგიზ ბურჯანაძეზე გამართული 6 მატჩიდან ყველა მოიგეს.

ცხადია, გორელებს არც შესუსტებულ ტორპედოსთან გასჭირვებიათ. რიონისპირელებს დინამოსთან მომხდარი ინციდენტის გამო 4 ფეხბურთელის გარდა, მთავარი მწვრთნელი და მისი ასისტენტიც აკლდათ. შედეგად, გუნდს მოედანზე, არც მეტი, არც ნაკლები, გუნდის ანალიტიკოსმა გაიყვანა...

ვაგნერ გონსალვესმა სწრაფი გოლით დაანინაურა გორელები, ბოლოს კი, მსაჯის დამატებულ წუთებზე, თამაშ მაქსაქარიამ სხვაობა გაზარდა.

საბურთალოს ტაბარა 3:0 თბილისი. მიხეილ მესხი 1:0 თბილისელი (59), 2:0 გული-აშვილი (75), 3:0 სისარულიძე (85) საბურთალო: მეგრელიშვილი, გოჩოლეიშვილი, კაკუბაძე, ჯგერენია, ი.ტაბატაძე, შონიკაშვილი (ბენედიკი 81), ქარდავა, ლონიკაშვილი (ომამაგვიშვილი 87), ქავთარაძე (ნულუკიძე

87), შინდაგორიძე (გულიაშვილი 39), სისარულიძე

გაგრა: ქურდაძე, ხოსიტაშვილი, კვიციანი, ნოზაძე, შონია, ჩოგაძე (ხაბულაშვილი 80), ქობულაძე, შენირული (სულთანიშვილი 80), ვეკუა (ბუხიანიძე 72), ვანაძე, კვიციანი (ფარულაძე 80)

მასპინძლებმა მეორე ტაიმში გატყვეს მეტოქე. 2 გოლი ირაკლი სისარულიძემ გაიტანა და მიმდინარე სეზონში 8 გოლი დაუგროვდა. სისარულიძე ბობბარდირებში მე-2 ადგილზეა და 1 ბურთით ჩამორჩება ბათუმის დინამო-ელ ჯოვინო ფლამარიონს.

კიდევ 1 გოლი გაგრელებს გიორგი გულიაშვილმა გაუტანა. მისი პირველი გოლია მიმდინარე ეროვნულ ლიგაში.

თელავი-სიონი 2:0 თელავი. კავასიონი არენა 1:0, 2:0 თოლორდავა (103, 45)

თელავი: სანიკიძე, მარაქველიძე, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (ქორაძე 63), ქანთარია (ცკაპანაძე 74), პავიშვილი (გიგაშვილი 90), აშორტია (ხაბულიანი 63), გოშთელიანი (მასარობლიძე 46), ჯიქია, ფაცაცია, თოლორდავა

სიონი: ისიანი, ჯავახიშვილი, უგრეხელიძე (მედევი 72), კილასონია, ლხობიშვილი (ჩაგანავა 72), მარაძე (ოკობაძე 46), კორიფაძე, ფოცხვერია, ჩუკურა, თ.ტაბატაძე, ნემსაძე

თელავმა ანტონ თოლორდავას დუბლით მოუგო სიონს – 2:0. სხვათა შორის, თოლორდავა პირველი მცველია ამ სეზონში, რომელმაც 1 მატჩში 2 გოლი გაიტანა. აქედან 1 პენალტით მიითვლება.

თელავმა ზედინეძე მეორედ გაიმარჯვა. რაც შეეხება სიონს, გუნდმა 5-მატჩიანი ნაუგებელი სერია შეწყვიტა.

სატურნო ცხრილი: 1.დინამო (თბ) 11 7 3 1 25-7 24, 2.დილა 11 7 1 3 15-8 22, 3.დინამო (გთ) 11 5 4 2 14-8 19, 4.საბურთალო 11 5 3 3 18-13 18, 5.თელავი 11 4 4 3 14-8 16, 6.სამგურალი 10 3 5 2 11-8 14, 7.გაგრა 11 4 2 5 12-17 14, 8.ტორპედო 11 3 2 6 8-19 11, 9.სიონი 11 2 4 5 11-19 10, 10.ლოკომოტივი 10 0 0 10 6-27 0

# ლივერპული ფინალშია და მებოქანს ელოდება

ვილიარალი-ლივერპული 2:3 ვილიარალი. სერამიკა 1:0 დია (3), 2:0 კოკლეი (41), 2:1 ფაბინიო (62), 2:2 დიასი (67), 2:3 მანე (74)

გაძევება: კაპუ (86) მოულოდნელად საინტერესო და დაძაბული გამოდგა საპასუხო ნახევარფინალური მატჩი „სერამიკაზე“. ბევრს ვილიარალი უკვე „დამარცხული“ ჰყავდა, მაგრამ 41 წუთის შემდეგ ლივერპულს ყველაფერი თავიდან დასაწყები გაუხდა. უნაი ემერის გუნდმა სწრაფი

გოლი გაიტანა, რამაც ფსიქოლოგიური უპირატესობა მისცა და ვილიარალი მუდმივად ლივერპულის კარისკენ იწვედა, რასაც ვერ ვიტყვი თავად მერსი-



საიდელეზე. ამ ყველაფერმა კი ის მოიტანა, რომ ტაიმის ბოლოსკენ კოკლემა ზუსტად ის ანგარიში დააფიქსირა ტაბლოზე, რაც ერთი კვირის წინ ლივერპულში იყო – 2:0.

შესვენება კი სტუმრებს წაადგა. კლოპმა უოტა დიასით ჩაანაცვლა და... ლივერპულმა ბურთზე კონტროლი დაიწყო, რასაც შემდეგ აქტიური შეტევები და 3 გოლი მოჰყვა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ყველაფერს ვილიარალის მეკარის დახმარების გარეშე არ ჩაუვლია – რული რამდენჯერმე შეცდა და დიასაჯა კიდევ. ამის შემდეგ ვილიარე-

აღს მოსაგებად არც დრო ჰქონდა აღარ ძალეში...

ლივერპული დამსახურებულ ფინალშია, ვილიარალს მადლობა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სადიო მანე სენეგალელი შესანიშნავი იყო. შეტევაში ჩინებულად გამოიყურებოდა და მცველები მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა. გამარჯვების გოლიც მანე გაიტანა ამით აფრიკული რეკორდი დაამყარა. მანემ კოტ დივუარელ დიდი დროგას გაასწრო და აფრიკის კონტინენტის საუკეთესო მეგობარ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში გატანილი გოლებით. მოამზადა მისიელ ჟორჟოლიანმა

# სახალხო მკურნალ ლაშქარა თოდუას „მალნიკაჰის ნიხნი“ ათასი მორჩილი პაციენტის საბაზოვალ წერილს იწახვს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის განმედა.

მალნიკაჰის პაციენტთა რიცხვი ათასობითაა. ლი თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გაზარდა, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა ნიტიანიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადა ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოთ ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლებს მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღებოდა. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამომეფიქსირდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები ანუხებდა პაიპორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულმარვას (იფოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგვსნებდა.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მალამოების წიგნი 5 ათასამდე მორჩილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავეთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორციელებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირფეხისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. გე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

საგელოვარო და მისალმონი განსხვავებული მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ეხოსვოხი ბ

შეუღალა: 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. ნერილი წვიმა; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 6. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 7. ღვინოსმეცველების სპეციალისტი; 8. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 9. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 10. გურიაში გაგრძელებული შავ-ყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიშები.

თარაზულად: 6. ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში ძველად; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. სოხისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 9. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სამხედრო ნაწილის სატუსალო; 11. აეროპორტი მადრიდში; 12. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი, ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი; 13. ჩქაროსნული ავტომობილი; 14. ქალაქის მცხოვრებელთა სახელწოდება გერმანიაში ძველად.

შეადგინა თ.კობალაძე

Crossword grid with numbers 1-20.

# წინა ნომერში გაომქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

კროსვორდი ა შეუღალა: 1. ფაზა; 2. ოდა; 3. ოთხმეზური; 4. ჯაყვა; 5. თინვალა; 6. რაჯა; 7. ბარტერი; 8. დონიციტი; 9. ლვანლი; 10. კიაზო; 11. გოეთე. თარაზულად: 1. ფიდელი; 2. უთხოვარი; 3. ზურნა; 4. დამბა; 5. იჯარა; 6. კატაი; 7. ბილი; 8. ნულა; 9. იზაბელა; 10. ბაგეტა.

კროსვორდი ბ შეუღალა: 1. კაროუნა; 2. ელავა; 3. ბარაკონი; 4. კრიზისი; 5. დისპაზერია; 6. კრისტო; 7. სუფრული; 8. ქიქერი; 9. ევრო; 10. კონკა; 11. ჭკუა. თარაზულად: 6. ფაველა; 7. მახურატი; 8. პობედა; 9. გინეა; 10. ბაგრატიონი; 11. ექსპერტი; 12. ბუზუკი; 13. კომუნისკი; 14. ნაგეტუსია.

5 მაისი



აშშ დოლარი — 3.0384



ევრო — 3.1982



დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8029



100 რუსული რუბლი — 4.5346



### ივანე კლოპი: „ლივერპულმა ფინალში თამაში დაიხსნა“

ლივერპულმა სტუმრად ვილიარეალი დაამარცხა ანგარიშით 3:2 და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.



პირველი ტაიმი ლივერპულსთვის რთული გამოდგა და ისინი 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ მათ მიხედვით მოახერხეს მატჩის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება და საბოლოოდ 3:2 მოიგეს.

– პირველ ტაიმში საკუთარ თავს არ ვგავედით, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი შეიცვალა და მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. ლივერპულმა ეს წარმატება დაიხსნა-ხურა, – განაცხადა კლოპმა.



### უნაი ეჰარი: „ჩემი ფეხბურთელები პაპაჟო“

ვილიარეალის მთავარმა მწვრთნელმა უნაი ეჰარიმ ლივერპულთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მიუხედავად მარცხისა, ის თავისი ფეხბურთელებით ამყავს და მათ ყველაფერი გააკეთეს წარმატების მისაღწევად:

– მინდა ყველა ფეხბურთელს მადლობა ვუთხრა, რადგან მათ ძალბო არ დაიშურეს, რომ ჩვენ ის შედეგი მიგველო, რაც გვსურდა, მაგრამ ლივერპული ძალიან ძლიერი გუნდია და მათ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

### კროსი: „ქარიერას რეალში დავესრულებ“

მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ტონი კროსმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის დიდი ალბათობით კარიერას რეალში დაასრულებს, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის:



– მინდა, რომ კარიერა რეალში დავასრულო, რადგან უკეთესი ვარიანტის მოძებნა გამიჭირდება და ამ გუნდში ბედნიერი ვარ.

მთაწადა ბექა გოგინაშვილი

### ლეობარდი პოლიციელს თავს დაესხა და მოსახლეობა შეაშინა



ირანის ქალაქ კაემშეხ-რეში ლეობარდი პოლიციელს თავს დაესხა და ადგილობრივი მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო.

სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოში აღბეჭდილია ბანკის შენობის თავდასხმის დროს ლეობარდის ფანტენი ადგილობრივი მცხოვრებლებიც.

პოლიციელი ამ თავდასხმის შედეგად ცოცხალი გადარჩა. მისი მდგომარეობა სტაბილურია. მოგვიანებით ლეობარდის დაჭერა მოხერხდა და ის სემსკანდეს ნაკრძალში გადაიყვანეს. ამჟამად მანუენდერანის პროვინციის ბუნების დაცვის განყოფილება ანარმოებს იმის გამოძიებას, თუ როგორ აღმოჩნდა ქალაქში მტაცებელი ცხოველი. ის ახლოს მდებარე ტყის მასივიდან შემოვიდა თუ რომელიმე მოქალაქეს უკანონოდ ჰყავდა მფლობელობაში.

მთაწადა კახა ხატიაშვილი

### ასტრონომი

5 მაისისათვის



**პარკი** – ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბება. **ქარა** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. **სტუმრების მიღება** სხვა დროისათვის გადადეთ. **გაყვანილობა** – ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. **პროვოკაციული დღეა**. **ქიჩინი** – კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე ალკეით. გაერიდეთ ემოციურად გაუნონანსორებელ ადამიანებს. **ღიმი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლება. **ეცადეთ**, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **მალ-ნალი** – მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგამაღლებათ. **სასწრაი** – ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღიანაქალი** – ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მედიკალი** – სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლებელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **მისი რა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედაც-რუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მარ-წყალი** – წერილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **მთაწადა** – შემოსავალი მოლოდინულად გეზრდება. მეგობარი დახმარების ხელს გინვდით.

გისუხეხეთ ბედნიეხ დღეს!

### იუმორი

პაპამ შენიშნა, რომ სკოლიდან დაბრუნებულ შვილიშვილს ცალი თითი უცნაურად გაშეშებული უჭირავს და ეკითხება:

– რა დაგემართა, შვილო?  
– ქიმიის გაკვეთილზე ცდას ვატარებდით და თითზე რაღაც სითხე გადამეხსა, იმის შემდეგ გამიშეშდა და ვეღარ ვხრი.

– შვილო, თუ ხვალ იმ სითხეს მომიტან, დილით შენი ბალიშის ქვეშ ხუთ ლარს იპოვი.

მეორე დღეს შვილიშვილმა პაპას სითხე მიუტანა, დილით გაღვიძებულმა კი ბალიშის ქვეშ 25 ლარი იპოვა. ბავშვი პაპასთან მივიდა და ეკითხება:

– პაპა, შენ ხუთ ლარს დამპირდი და 25 ლარი რატომ დამგება?

– 20 ლარი ბებიაშენმა დამგება!

ქმარი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა და თითისწვერებზე მიიპარა საწოლთან. ამ დროს ცოლს გაეღვიძა და ეკითხება:

– აბა, ამჯერად რას მოიგონებ თავის გასამართლებლად?  
– არაფერს.

– და გგონია დაგიჯერებ?

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა იყო, ბიჭო, თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?  
– საყვარელი ქალის გამო ვიჩხუბე.

– ვისთან?  
– ცოლთან...


ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– თვითმფრინავს პროპელერები რისთვის აქვს?  
– პილოტი რომ არ გაოფლიანდეს.

– რას მეუბნები?  
– სერიოზულად. ერთხელ ვნახე, პროპელერი გაუჩერდა და იცო, პილოტი როგორ გაოფლიანდა!

მთაწადა კახა ხატიაშვილი

### ნიკოლოზ ნულუკიძის შვილი ტრაგიკულად დაიღუპა



ტელენამეყანისა და თეატრმცოდნის ნიკოლოზ ნულუკიძის მცირეწლოვანი შვილი ტრაგიკულად დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, კიტა ნულუკიძე მალალსართულიანი კორპუსის აივანიდან გადავარდა.

ნიკოლოზ ნულუკიძეს და თეკლა კოსტავას კიტა 2020 წლის 29 სექტემბერს შეეძინათ. ის წყვილის მეორე შვილი იყო. მათ უფროსი გოგონა სესილია ჰყავთ.

პატარა კიტას უკანასკნელ გზაზე სიონის ტაძრიდან 5 მაისს გააცილებენ.



### ივან დორნი თბილისში იმეორებს


ცნობილი უკრაინელი მომღერალი ივან დორნი 15 მაისს თბილისში კონცერტს გამართავს. ის მონო ჰოლში მსმენელებს შეკრებს და უკრაინელების დასახმარებლად იმღერებს.

მომღერალმა საკონცერტო ტურნე თანამემამულეების დასახმარებლად უკვე დაიწყო. 3 მაისს მისი პირველი კონცერტი ვილნიუსში გაიმართა. ივან დორნი კონცერტებით ეწვევა ტალინს, ბუდაპეშტს, რიგას, თბილისს, პრაღასა და ვარშავას.

უკრაინელი ხელოვანი საკონცერტო ტურნეს 22 მაისს დაასრულებს.



### თამარ სხირტლაძე 93 წლის გახდა



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თამარ სხირტლაძე იუბილარია. მას 93 წელი შეუსრულდა. აქედან 75 წელი მან სცენაზე გაატარა და ვერცო ანჯაფარიძის რეჟორდი მოხსნა.

საქართველოს სახალხო არტისტმა ქართულ თეატრსა და კინოში დაუფინანსარი როლები შექმნა. მისი პერსონაჟები მაყურებელს დღემდე ახსოვს და უყვარს. მეუღლესთან კოტე თოლორაიასთან ერთად მან ქართულ კულტურას მიუძღვნა მთელი ცხოვრება. იუბილარი ხელოვანი არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია.

მსახიობის გზა აირჩია თამარ სხირტლაძისა და კოტე თოლორაიას ერთადერთმა შვილმა – თაზო თოლორაიამაც, რომელიც ავადმყოფობის გამო ახალგაზრდა გარდაიცვალა.

იუბილარ მსახიობს წლების მატება სულაც არ აშინებს:  
– ვისაც ასაკის ეშინია, ვეჭყვი – ასაკის კი არა, საკუთარი თავის უნდა ეშინოდეთ. არასდროს უნდა გაჩერდეთ, მუდამ უნდა ვითარდებოდეთ, განათლება ძალიან მნიშვნელოვანია. დღე არ გავა, რომ რაიმე ახალი არ ვისწავლო და ნავიკითხო. სიცოცხლე ძალიან საინტერესო რამაა.

### თეონა დოლენჯაშვილი დააჯილდოვან



მწერალი თეონა დოლენჯაშვილი დააჯილდოვეს. მისი რომანი „ჩიტი არ გამოფრინდება“ ლიტერატურული პრემია „ფაზისის“ მფლობელი გახდა: – ლიტერატურული პრემია „ფაზისის“ წიგნისთვის „ჩიტი არ გამოფრინდება“.

განსაკუთრებით საამაყოა, რომ ამ პრემიის ყოფრის თავმჯდომარეები იყვნენ გურამ დოჩინაშვილი და მანანა ჩიტიშვილი, – განაცხადა მწერალმა.



### ანიტა რაჭველიშვილი უცხოური ჟურნალის ყდაზე დაბეჭდა

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალის „ოპერა“ ყდაზე დაბეჭდა. ჟურნალის მისისთვის თვის ნომერს ქართველი მეცო სობრანო ამშვენებს.

ანიტა გამოცემასთან ოპერასა და პოლიტიკაზე საუბრობს. ასევე, მის სამომავლო გეგმებსა და იმ სიახლეებზე, რასაც ოპერის მოყვარულებს უმზადებს.

უკრაინის სოლიდარობის ნიშნად კი ანიტა რაჭველიშვილმა ფოტოსესიისთვის უკრაინის დროშის ფერების მაისური ჩაიცვა.



### „მასტერკლასი“ იუნიტაში 6-მა მონაწილემ მიიღო

პირველად კულნარიული შოუს „მასტერკლასი“ ისტორიაში იუნიტეტი 6-მა მონაწილემ მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი კერძები საუკეთესოა.

შეფების თეკუნა გაჩეჩილაძის, ლევან კობიაშვილის, ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურის გადამწყვეტილებით, პირველ საკონკურსო ტურში – ქართული და უკრაინული კერძების ტურში – იუნიტეტის მფლობელები გახდნენ გიორგი მღვდელაძე, ეველინა შაგინოვა, გიგი აფციაური, თამარ ბექაური, აკაკი ცანკაშვილი და ვაკო ლონაძე.

### ჯანსუღ კახიძის სახელობის ფსიქიკალი მე-7 ჩაბარდა

ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი 8 მაისს თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საზეიმოდ გაიხსნება.

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ქართველი კომპოზიტორების არჩილ კერესელიძის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერცხიძის, გიორგი ცაბაძის, ვია ყანჩელის, ჯანსუღ კახიძისა და ვახტანგ კახიძის პოპულარული სიმღერები სხვადასხვა ქართული კინოფილმებიდან.

მუსიკალური ნომრებს შესრულდენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი მაცხტრო ვახტანგ კახიძის დირიჟორობით და ქართველი მომღერლები – ეკა მამალაძე, ნეკა სენისკვარაძე, ნატო კახიძე, დავით ნოზაძე და გეგედიან ჯინჭარაძე.


ფესტივალი 14 და 22 მაისს უცხოელ ვარსკვლავებთან ერთად გაგრძელდება. ისინი მსმენელის ნიშნულში თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და ვახტანგ კახიძესთან ერთად წარდგებიან.

მთაწადა ეკა ირემაშვილი

### კრისკოხი

**შეუღალა:** 1. პოლიციელთა მტკსახელი აშშ-ში; 2. ქუთაისური ლუდი; 3. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 4. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 5. თურქეთის პარლამენტი; 6. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 7. კოს-მოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 8. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 9. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 10. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 11. მორღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. საქართველოს ეროვნული გმირი; 2. ქართველი პაროდისტი, მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 3. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 4. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 5. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 6. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 7. რაიმეს განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე; 8. რძის პროდუქტი; 9. მარგანცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 10. სოფელი ხევსურეთში.



შეადგინა თ.გოგინაშვილი